ᲯᲘᲠᲐ 12 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ

ᲦᲘᲠᲘ 10 ᲙᲞ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲩᲐᲗᲠᲐᲮᲘ

№ 29. -ᲡᲐᲚᲐᲛᲣᲠᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲘᲣᲛᲝᲠᲘ. ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲘ.

ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲮᲝᲚᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ წᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲐᲪᲔᲑᲛᲐ ᲡᲐᲛᲙᲕᲓᲠᲝ-ᲡᲐᲜᲘᲢᲐᲪᲘᲝ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲮᲐᲓᲔᲡ ᲗᲕᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲣᲑᲘ ᲛᲝᲬᲐᲜᲬᲐᲚᲔᲒ ᲮᲝᲚᲔᲠᲐᲡ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დ. ზ. ხარაჯიშვილი. სასწაულს ახდენს მარტოკა ღმერთი!
თქვენ ათასი სართ და მე კი ერთი...
სად შემიძლია, თუნდ მსურდეს გულით,
გავაძღო უველა და ისიც ფულით?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მამიებელი“.

—

ერთი ქართველი
სტუდენტი ვინმე,
(დღესაც არ ვიცი გვარი მისი მე.)
არცა ჭაბუკი,
არცა მხცოვანი,
სწავლის სურვილით აღნაფრთოვანი,
პეტერბურგისკენ
იწევდა დიდათ,
მუნითგან ცოდნის გადმოსაზიდათ.

—

მოსაწონია
განზრახულება:
მაღალი სწავლის
მიღებულება,
მაგრამ ოხერი...
ეგ უფულობა!!
არ აძლევს საშველს,
მისწვდეს საწადელს!!!
და დარდებისგან გულ განაბასრი,
ენა მახვილი,
გონება ბასრი,
წარვიდა იმის საძიებელათ,
საშოვნელია
რაც ეგრე ძნელათ.

—

ქართველი კაცი ქველმოქმედებით
ნაქები არის,
თუ არა ვცდებით. .
რაკი იშოვნის ორიოდ ქანქარს,
ხელგაშლილობას
არ აძლევს საზღვარს
და იმ სტუდენტსაც ქონდა იმედი,
არ გასწირავდა
სრულიად ბედი.

—

გზაზე მეგობარს შემოეყარა
და გულის დარდი
გაუზიარა:
-- ძმაო დათიკ~! მასწავლე რამე,
დავრბივარ ეგრე
მუდამ დღე, ღამე,
ხან იმასა ვთხოვ,
ხან კიდევ ამას,
თითონაც ვიკლებ სმასა და ჭამას,
მაგრამ ვერ გავხდი
მაინც ვერაფერს,
ყველას ვემდური: მოყვარეს და მტერს.

— მე რა გირჩიო
ჩემო კეთილო,
რომ იმედები არ გაგიწბილო?
ჩემთან მუსაიფს
ის არ აჯობებს,
დაეპატიჟო... ჩვენს ფილანტროპებს
და მათ შესჩივლო
ეგ გასაჭირი...
იქნება ბედმა გიბრუნოს პირი.
— განა არ ვიყავ,
და არ შევსჩივლე?!.
ბევრიც ვიტირე, ბევრიც ვიკივლე,
მაგრამ ვინ არის,
ძმავ, გამკითხავი...
ვერ შევაბრალე ვერავის თავი.
თხოვნაც მივეცი
სასტიპენდიო.
მითხრეს: „გქონდეთო თქვენ იმედიო“,
და ჩამაკერეს
რაღაც სიაში...
— იცნობ კი ვისმე კომისიაში?
— რა ცნობა მინდა?
თითქმის არავის!..
-- მაშ იმედებ‹ სიდან გიქყავის?
პეტრეს არ იცნობ
დომ‹ნტის ბიძას?
მოციქულობას ჩინებულს გიზამს!..
— პირველათ მ‹სმის
მაგის სახელი...
ჩემს სიცოცხლეში არ ვარ მნახველი!
— არც ალექსანდრე
გენახულება?
(კომისიის წევრს ემსახურება)...
მიმართე იმას
ან იმის ძმისწულს,
პართენი ჰქვიან, ვექილს, გაქუცულს.
— არც პართენს ვიცნობ,
არც მსახურ სანდროს...
ნუთუ მიდგომა ვინმემ იკადროს
კომისიისა
წევრად მჯდომარემ?
თუ რამე იცი, ნათლათ სთქვი ბარემ.
-- ოჰ, რა სულელი
ვინმე ყოფილხარ! .
კაცო, მთვარეზე ხომ არ შობილხარ?!
განა არ იცი
ნათესაობას
ალმოუჩენენ მეტ შემწეობას?
იქნება ფრიდონ
ხმალამ‹ იცი?
თუ გიშუამდგომლებს, არ უნდა ფიცი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ სტიპენდიას
შენ გარგუნებენ...
ისე კი, დიდხანს გახრაგუნებენ.
— ფრიდნზე, კაცო,
რაღაც დავწერე
და სამუდამოთ გადავიმტერე.
— მაშ კოტეს უთხარ
ფრიდონის სიძეს!
— დანაშაული მასთანაც მიძევს!
ერთხელ ვამხილე
ის ქურდობაში
(კინაღამ სილაც გავარტყი ყბაში)
— მაშ ხოსო ნახე
ზებედაშვილი,
ფრიდონ ხმალაძის მამიდაშვილი.
მას ერთი სიტყვაც
არ დასჭირდება...
უმისოდ საქმე გაჯახირდება.
— ხოსო არ იყო
სიცრუისათვინ
რომ შევახურეთ ჩვენ კრებისა წინ?
ახლა მას როგორ
მივესალამო,
თუმცა ხელში აქვს ჩემი მალამო?
— ახირებული
კაცი ყოფილხარ...
ვის არ ემდური თითონ მითხარ
მაშ მიდი ნახე
ჩვენი სამსონი,
იმასთან კარგათ იქნები მგონი.
— რას ამბობ, კაცო,
სამსონსა და მე
დიდი სადაო არ გვქონდა საქმე?!
იგი არ იყო
ჩვენ კასის ფულებს
აქცევდა თვისად შემონახულებს?
მე ეს მაშინვე
ვუსაყვედურე
და რა თქმა უნდა გადავიმდურე.
— მაშ სტიპენდიას
საიდან ელი?
სჯობს დაიბანო ეხლავე ხელი!..
ვინაც ,,ბურჯია‘‘
ჩვენი მამულის,
ვინაც გამგეა, პატრონი ფულის,
შენ თურმე ყველა
მათგანს ემდური
და ვინდა უნდა გათხოვოს ყური?
ერთიღა დარჩა...
ფილიპე ნახე,..
სიტყვა არ ჰკადრო, იცოდე მკვახე!

ის კარგათ იცნობს
ვანო წყალაძეს,
ვანო წყალაძე იცნობს მხალაძეს,
მხალაძე იცნობს
ვარდენ კალაძეს,
ვარდენ კალაძე,— ხათაბალაძეს,
ხათაბალაძე
სიკო სხალაძეს,
სიკო სხალაძე, – კურკანტალაძეს,
კურკანტალაძე
მიშა რკალაძეს,
მიშა რკალაძე,—ბესო მკალაძეს,
ბესო მკალაძე,
სიმონ ჭალაძეს,
სიმონ ჭალაძე,—სიკინჭალაძეს
სიკინჭალაძე,—
ფრიდონ ხმალაძეს
და თუ ფრიდონმა
ქნა და ინება
სტიპენდიები შენი იქნება.
— რას ამბობ ძმაო,
და მეგობარო?
ხომ უნდა მთელი წელი ვიარო,
რომ ეს ყველანი
მოვინახულო
და სჩანს აქ გინდა გავიზაფხულო?
— მაშ როგორა გსურს
ნეტა მასწავლა,
დაგიჟინია მაღალი სწავლა,
და არ კი იცი
რომ შენგვარ თავებს,
ამჯობინებენ მის ნათესავებს.
ნათესაური
გრძნობის არ მცოდნე
რჯულის წინაშეც კი ხარ შემცოდე.
მშვიდობით! წავალ,
მიმეჩქარება,
ჩემი დარდი მკლავს და მწუხარება!
— იყავ მშვიდობით
და გამარჯვებით
ზედმეტს აღარც ჩვენ გავისარჯებით.

—

უკან დაბრუნდა
იგი ყმაწვილი
გულ განატეხი
და განაწბილი.
ახლა გაიგო,
რომ დახმარება
სულ ყველასათვის
არ ეკმარება,
და თუ კი არის დასარიგები,
ჯერ ნათესავთა მთელი რიგები

ელიან ლუკმებს
უფროორე მსუქნებს!!!
ხოლო თუ იმათ
რამ გადარჩება
ღარიბებისთვის მაშინ დარჩება.
მაგრამ ვინ ნახა
გადანარჩენი???
ამაოდ დაძრწის სტუდენტი ჩვენი.

ეშმაკი.

ჩვეულებრივი*) დეპეშები.

ამერიკა.

ნიუიორკი. ქალაქ კრაშუს მახლობლათ ლიანდაგს გადასცდა სწრაფი მატარებელი. მოკლულია 17 კაცი, დასახიჩრდა 68.

იქიდანგე. საბამურის მაღაროებში აფეთქება მოხდა, მაღაროები დაინგრა. დაღუპულია 46 მუშა. ცოცხალ-მკვდარი გადაარჩინეს 205.

ვაშინგტონი. რუზველტს დღეს სიტყვა არსად წარმოუთქვამს.

ისპანია.

მადრიდი. კანალეხასი...

საბერძნეთი.

ათინა. ნაციონალური კრება...

ოსმალეთი.

სტამბოლი კრიტოსის საკითხი მწვავე ხასიათს იღებს...

რუსეთი.

მოგილიოვი. დაიწვა შვიდი სოფელი ზარალი დიდია. აღემატება...

კიევი. გაძარცვეს ათი ეკლესია...

ხარკოვი. სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს 5 პოლიტიკურ დამნაშავეს.

ყაზანი. დააჯარიმეს ოთხი გაზეთი ..

ეკატერინოსლავი. სატუსაღოში აჯანყება მოხდა. მოკლულია რამოდენიმე ტუსაღი.

პეტერბურგი. ხოლერა თან და თან ძლიერდება.

ოდესა. შავი ჭირი საშინლათ მძვინვარებს.

ვარშავა. გუშინ ჩამოახრჩვეს ორი. ჩამოსახრჩობია კიდევ სამი.

სამარა. თავი მოიწამლა ორმა ახალგაზდა მოწაფემ. მიზეზი არ იციან.

ურალი. დაიხურა რამოდენიმე ქარხანა. 3000 კაცი უსაქმოდ დარჩა.

ასტრახანი. გემი „მერცხალი" დაეჯახა მეორე გემს. პირველი საგრძნობლათ დაზიანდა. დაიხრჩო მხოლოდ 10 კაცი.

მოსკოვი. კომერციული ბანკიდან ყალბი დოკუმენტით გაიტანეს 30000 მანეთი.

მოზდოკი. ინგუშები დაეცენ ხაზინას. მოხდა შეტაკება. მოკლულია 13 კაცი. მძარცველებს კვალ-და-კვალ მისდევდენ პოლიციელთა რაზმები.

ვორონეჟი. სოფ. კუზას მცხოვრებლებს შეტაკება მოუხდათ პოლიციელებთან. ხალხის დასამშვიდებლათ გაიგზავნა სტრაჟნიკთა ახალი რაზმი.

იალტა. გენერალმა დუმბაძემ გადაასახლა 37 ებრაელი.

რიგა. სამხედრო სასამართლომ შვიდ კაცს გადაუწყვიტა სიკვდილით დასჯა. აღძრულია შუამდგომლობა სასჯელის შესამსუბუქებლათ.

პენზა. „სუდობანას" თამაშობის დროს ბავშვებმა ჩამოახრჩვეს პატარა გოგო.

ხერსონი. სასტიკმა ქარიშხალმა, სეტყვამ და ნიაღვარმა გაანადგურა 700 დესიატინა ჭირნახული.

ორენბურგი. საქონლის ჭირმა დახოცა 4000 სული მსხვილი ოთხფეხი. სენი თანდათან ძლიერდება.

*) „ჩვეულებრივს" ვეძახით ამგვარ დეპეშებს იმიტომ, რომ იმათი შინაარსისა თითქმის ყოველ დღე მოაქვს ამა თუ იმ სააგენტოს. ეს უფრო გადაჭრით ითქმის რუსეთიდან მიღებულ ცნობებზე. ამ დეპეშების მიხედვით თქვენ ადვილათ მიხვდებით, თუ როგორ განვითარებულა რუსეთის შინაგანი ცხოვრება.

ეშმაკის სააგენტო.

მოქალაქის მოვალეობა.

შესახებ მღვდ. ვოსტორგოვის ბოროტ-მოქმედებისა.

(თარგმნილი „სატირიკონიდან").

საშიშარსა და ჭეშმარიტათ საზიზღარ დროში ვცხოვრობთ ჩვენ. რუსეთში „რუსის მოქალაქემ" ჩაიდინა მძიმე ბოროტ-მოქმედება და არავინ არავითარ ყურადღებას არ აქცევს. ნუთუ სირცხვილი არ არის დიდებული ქვეყნისათვის, როცა უბრალო იუმორისტული ჟურნალი იძულებულია აღიმაღლოს ხმა მართლ-მსაჯულებისა და სამართლიანობის დასაცავად?! განა რას ვთხოულობთ ჩვენ? რაიმე შეღავათებს ჩვენთვის? რაიმე მოწყალებას? ან რაიმე ქონებრივ დახმარებას? არა და არა. ჩვენ მოვითხოვთ მხოლოდ სამართლიანობას, მართლ-მსაჯულებას, ჩვენს სულიერ სიმშვიდეს. ჩვენ განვიზრახეთ კეთილი საქმე: პირველ ყოვლისა ვაუწყეთ სამოსამართლო მთავრობას, რომ მემარჯვენეთა გაზეთების ცნობით მღვდელმა ვოსტორგოვმა ჩაიდინა საზიზღარი ბოროტ-მოქმედება. სამწუხაროთ ჩვენ არ გაგვხადეს ღირსი არც პასუხისა და არც ბრალდების უარყოფისა. მივმართეთ სასულიერო მთავრობას და ვსთხოვეთ: კურთხეულნო მამანო!—გამოიძიეთ ეს მძიმე დანაშაული! ნუ დასტოვებთ

ეკლესიის მსახურს უმანკო ბავშვთა სისხლში მოსვრილს,—ეგ ხომ თქვენი წმინდა მოვალეობაა. სასულიერო პირები ხმას არ იღებენ. დაე გვითხრას კეთილ-გონიერმა მკითხველმა: რა იქნებოდა მაშინ, თუ ეგ საზიზღარი საქმე უბრალო, ჩვეულებრივ მღვდელს ჩაედინა? სად იქნებოდა ამ ჟამათ ის?

მაშ რა კაცია ეს მამა კოსტორგოვი? რა ძალის პატრონია ის? რატომ სასულიერო უწყება არ მოითხოვს მისგან ბრალდების უარყოფას ან ბრალმდებელთა სამართალში გაწვევას?

თითონ ვოსტორგოვი კი დაჟინებით გაურბის როგორც სამართალს, აგრეთვე ყოველგვარ პასუხს. რისთვის?

უსუსური ბავშვიც კი მიხვდება, რომ აქ არავითარი ადგილი არა აქვს ქრისტიანულ ლმობიერებას, რომ მიზეზი მამა ვოსტორგოვის სიჩუმისა არის მისი სულ-მდაბლობა და მისი სილაჩრე.

მამა ვოსტორგოვს ეშინია მართლმსაჯულებისა.

მაშ აიძულეთ ის გამოცხადდეს სამსჯავროში გინდ ბრალმდებლის და გინდ ბრალდებულის სახით—ეგ ჩვენთვის სულ ერთია.

ჩვენ პატივს ვცემთ მხოლოდ სამართალს.

ჩვენ მოვითხოვთ სიმართლესა, სინათლესა და წესიერებას.

ვის შეუძლია ამაზე რამე გვისაყვედუროს.

„ჟურნალისტი“.

P. S. თუ ამ ჩვენმა შენიშვნამაც არ გამოიწვია საქმის გამოძიება, ჩვენ იარაღსა ვყრით. მაშინ ჩვენ ვიტყვით: დიახ ჩვენ დაგვამარცხეს. მეტია კითხვა თუ რისთვის.

იმისთვის რომ ჩვენ აღარ ვიცით ვისღა მივმართოთ, ვის შევჩივლოთ. პარიზის პრეფექტს რასაკვირველია არაფრათ აინტერესებს მამა ვოსტორგოვის საქმე, არც ლონდონის ლორდ-მერი აიტკივებს თავს ჩვენს გასაჭირზე და იტყვის: ეგ ჩვენ სრულიადაც არ გვეხებაო.

მაშ სადღა წავიდეთ? დუმაში ხომ არ გვიბრძანებთ?

ჟ.

„მამანო“ ჩვენნო!

„მამანო“ ქალაქისანო,
ანუ ხმოსნებათ ხმობილნო,
უმსგავსო საარჩევანო
კანონით გამოცხობილნო!..
რისთვის ინებეთ ეგ საქმე,
სულისა თქვენის ლხენამა,
ამგვარი საიგავო
როგორ გამოსთქვა ენამა?
რატომ ინებეთ სხვებისთვის
თავისა თქვენის რგუნება,
მომავალ საბჭოს, ვინ იცის,
სხვაგვარი ექმნეს გუნება!!
აღარ მოერგოს იქნება
მას თქვენი მინაწოდები
და ხომ დარჩებით, უცილოდ,
შენარცხვენ, შენაცოდები?

საქმე იმაშია, პატივცემულო მკითხველო, რომ განსვენებულ ქალაქის თავს სამსახურის ვადა დაახლოვებით წელიწად-ნახევარში გაუდიოდა. მაშინ გაუდით ვადა აგრეთვე ახლანდელ ხმოსნებსაც აქედან თავისთავათ ცხადია, რომ სამართლიანობა მოითხოვდა ახლანდელი ხმოსნები თავიანთ ქერქში დატეულიყვენ. ნამდვილათ კი ასეთი ახირებული ამბავი მოხდა:

რუსეთის იმპერიაში იმდენი კანონებია დაწერილი, რამდენიც მთლად დანარჩენს ევროპაში არ იქნება. ერთი ამ კანონთაგანი უფლებას აძლევს ხმოსნებს აირჩიონ ქალაქის თავი, არა იმ ვადით, რომლითაც თითონ არიან არჩეულები, ანუ უკეთ ვსთქვათ, რამდენიც მათ დარჩენიათ სამსახურის ვადა, არამედ მთელი ოთხი წლით. ეს კანონი კარგა ხანია მოიგონეს, მაგრამ საქმეზე მას იშვიათად ხმარობდენ. ჩვენს ქალაქის „მამებს“ იშვიათებში უყვართ ყოფნა და აი კიდევაც განახორციელეს ეს იშვიათი კანონი. ხმოსანთა უმრავლესობამ დაადგინა: აირჩიონ ქალაქის თავი ოთხი წლით. ამგვარათ, ახლანდელი ხმოსნები, რომელთაც ვადა ერთი წლის შემდეგ გაუდით, ირჩევენ თავს იმ ხმოსნებისათვის, რომლებსაც აირჩევენ მოქალაქენი მომავალი არჩევნების დროს.

ამგვარათ იმა ხმოსანებს,
თავი აღარა სჭირია,
ახლანდელ ხმოსნებისაგან
ექნება შენაწირია.
იქნება დიდი მოადგეს,
იქნებ სულ ევიწროვოსა,
იქნება ტანი, ფეხები,
არ ერგოს, ეუცხოვოსა?
ნეტავი მაშინ რას იზამს
თავი, დღეს განაბოძები?
ჰაერში დაეკიდება
ქვეშ თუ არ დახვდა ბოძები.

ბაცილა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი ეშმაკი.

პირვ. კაცო, ეგ ჩვენი პროვინციელი ეშმაკები ნეტავ რას გაჩუმებულან?

მეორე. ეჰ, ჩემო ძმაო,
სხვას რას ვემდურით,
როცა არც ჩვენ გვდის
ოფლი წურწურით.

პირვ. არა, რაც მართალია, მართალია, მაგრამ არც ასე უფრის მოყრუება იყო მთგან მოსალოდნელი. ეგ სპარსელ გუბერნატორებსაც ნუ დამართოს ღმერთმა.

მეორე კარგი, თუ ძმა ხარ,
გულს ნუ მიღონებ:
იმათ დაკარგვას
ნუ მოიგონებ...
გახსოვს ბლიკვაძე
ბათუმის აღა?

პ-რვ. ოჰ, მესტვირული
იცოდა რაღა!!!!!

მეორე. კენტი თუ გახსოვს
და ან კვინწარი?
რომ დასცა „ბურჯებს"
შიშისა ზარი!

პირვ. როგორ არ მახსოვს,
რას მეუბნები!..
მას არ მივანდეთ
მთელი უბნები?
მან არ იცოდა
მოსვენებანი...
მომწონდა მისი
„მოხსენებანი".

მეორე. რუხაძე გახსოვს
ჩვენი, ვარლამი?

პირვ. აღარც იმისგან
მოგვდის სალამი?..
ნეტავი იმას
რა დაემართა?
სხვათა ნისია
ხომ არ ემართა?!!

მეორე. ზომულ ეთელმაც
აგვაღო ხელი!
შენ ხომ კი გახსოვს
მისი სახელი?

პირვ ბოიკოტია, თუ რა ჯანაბა!
სუფველამ სული
როგორ განაბა?

მეორე. მალაქიაშვილს
იცნობდი ხომა,
ძლიერ უყვარდა
მას ჩვენთვის შრომა,
ახლა იმნაც
იბრუნა პირი...

პირვ ამის გამგონე
მერე არ ტირი?

მეორე. ტირილით საქმეს
რა ეშველება,
მათი დაკარგვა
თუმც მემკვლელება!*)
არც ონისიმე
არც ეშმაკუნა
აღარც ფონტეფო
აღარც თაგუნა!

პირვ. მიკვირს, ღმერთმანი,
რა დაემართათ
რა ეშმაკებმა,
დააძაბუნა.

მეორე. რა გაეწყობა,
დრომ მოიტანა..
დრო შეიცვლება,
წაიღებს თანა.
ჩვენ ვინუგეშოთ,
რომ დრო მდინარებს:
გაელვიძებათ
ამ ჩვენს მძინარებს.

უარყუშა.

---

*) „მემკვლელება" ძველი ქართული სიტყვაა და ნიშნავს: სიკვდილზე უფრო მიმძიმსო.

ახალ სკოლაში.

შემოდგომის გრილი სალამო იყო. გოლოვინის პროსპექტზე მავალ ,,ქუჩის მტკეპნელთ'' მეც ავედევნე და სასახლის ქუჩამდე მივყევი. უკან გამობრუნებას, სათავადაზნაურო ბაღი ვამჯობინე და კიდევაც შევუხვიე. ქარვასლის კიბის საფეხურებს არ ავცილებოდი, რომ მარცხენა მხრიდან შემომესმა:

—,,Ахалцихели! какъ будетъ по русскій: ინდოური''?

მოაჯირს მივადექი. თვალები ვაჭყიტე და სმენათ გადავიქეც. რამდენიმე წუთის შემდეგ მოისმა ,,მკრთალი'' ხმა მოწაფისა:

— ინდოური по русски индюшка!

— ,,Нигоитскій! какъ будетъ по русскій: ბატი?''

— ბატი ბატონო ,,Батюшка''!—უცბათ მიახალა ვიღაცამ, შელახული ხმით ..

კედელთან ატუზულმა მოწითანო სახის კაცმა ბრაზმორევით ხელი ჩაიქნია, ეტყობოდა პასუხმა ვერ დააკმაყოფილა...

ვისმენდი ყველა ამას და ჩემს თავს არ ვუჯეროდი: ნუ თუ ,,ნოვაია რეჩის'' რედაქციაში სკოლა გახსნეს მეთქი. მართლაც, ყოფილ სარედაქციო ოთახის კარებს ზემოდან ფიცარი შევამჩნიე. შუბლზე ხელ შემოდებით დავაცქერდი და ელექტრონის მკრთალ შუქზე გარკვევით ამოვიკითხე:

,,Школа грамоты для взрослыхъ''.

იმ წამშივე დავეშვი კიბეზე და ახალი სკოლის კარებთან გავჩნდი. ჯიბიდან სადარბაზო წერილი ამოვიღე, მასწავლებელს მივაწოდე და ვსთხოვე: ნება დაერთო გაკვეთილზე დასწრებისა.

მასწავლებელმა თავაზიანათ მიმიღო და საკუთარ სკამზე მიმითითა. მეც დავჯექი. პირველ ყოვლისა ჩემი ყურადღება მიიქცია ერთი, სრულ წლოვან, მოწაფის აგებულობამ და სახის გამომეტყველებამ. ის სულ უკანა სკამზე კუთხეში მიმჯდარიყო, სკამის საზურგეზე მიბჯენილიყო. ბანჯგვლიანი ხელის თითები მას ერთმანეთში ჩაეწნა და სტომაქზე გადაესალტა. შუბლზე ჩამოფხატულ ყავის ფერი ქუდის ქვემოდან ცბიერათ აცეცებდა ჭრელ თვალებს.

შკოლა შერეული ტიპისა აღმოჩნდა. საგნებისათვის ცალ-ცალკე გაკვეთილები არ არსებობდა. რუსულს, მართლწერას, სიტყვიერებას, პრაქტიკას, დიდაქტიკას **განებაქტიკას** ერთ დროს სწავლობდენ. შერეულ შკოლაში მოსწავლეებიც **შერეულები** აღმოჩდენ. მასწავლებელი ,,ოტსტავნოი'' ცენზორი იყო, ერთი მოსწავლე ,,ოტსტავნოი'' კაპიტანი, მეორე ,,ოტსტავნოი'' ფარმაცევტი და ასე. მასწავლებელმა, პრომეთეი პართენიჩმა თითეული ამთგანი ცალ-ცალკე გამაცნო.

— ეს,—მიმითითა მან პირველ სკამზე მჯდომ მოწაფეზე, რომელიც შავ კოსტიუმში იყო გამოწყობილი და კოხტათ გაეპრიხა ულვაშები,—დიდი მოტრფიალეა ქალ... უკაცრავათ, ხელოვნებისა. ქალების მოტრფიალე ამ ჟამათ ევროპაში მოგზაურობს და მალე ისიც დაბრუნდება. მაგის სამსახური სამშობლოს წინაშე სწორეთ **დათვურია** თუ კი შეიძლება ასე მდაბიოთ გამოიხატოს ის ქება, რომლის ღირსიც გ. ახალციხელია. ეგ რუსულათ სთარგმნის და მკითხველ საზოგადოებას აცნობს ქართველი მწერლების მდარე, უმნიშვნელო ნაწარმოებთ. თქვენ გეცინებათ, მაგრამ აქ გასაცინარი არაფერი არ არის. თქვენ უნდა იცოდეთ ბ. ახალციხელის სულის კვეთება. ის ფხილებიანათ ნაციონალისტია. მას არ სურს, რომ ჩვენი ქართველი მწერლების საუკეთესო ნაწარმოები მსოფლიოს კუთვნილებათ გახდეს. ეს ხომ ინტერნაციონალისტობა იქნებოდა უმნიშვნელო ნაწარმოებს-კი არც არავინ მიეტანება და არც საქვეყნოთ გაიტანენ.

გარდა ამისა ეგ მოწაფე დიდ ნიჭს იჩენს ქართული ლექსების რუსულათ თარგმნაში.

ამ სიტყვების შემდეგ პრომეთეი პართენიჩმა დასახელებულ მოსწავლეს მიმართა:

— ,,აპა გიორგი! ერთი ჩვენს სტუმარს შენებურათ გადაუთარგმნე ქართული ლექსი, რომელიც ამას წინათ ჩვენს თანამშრომელს ,,დუმეცს'' უძღვნა ერთმა ქართულმა გაზეთმა''.

გიორგი ფიცხლავ გაიმართა წელში და დაიწყო:

— ქართულათ, ბატონო, ეს ლექსი ასე წაიკითხვის:

,,კაცი ბევრია გოშია,
ცხვრის თავა, ბატის ტვინაო,
ინდაურს დაემსგავსება,
თუ ვინმემ დაუსტვინაო''.

რუსულათ ასე იქნება:

Человѣкъ много есть жучка,
Барашка голова, а гусьевъ мозгъ,
Индюшкой станетъ, если не
Почувствуетъ розгъ.

ექსპრომტათ გადათარგმნილმა ლექსმა აღტაცებაში მიიყვანა მასწავლებელი.

— დუმეცო! გადი, დაფაზე და დასწერე წინადადება:

„Фармацевтъ изъ больницы кралъ и продавалъ лѣкарства".

დუმეცი ზეზე დგება და დაფისკენ მიდის. მოისმის კუთხიდან:

— ეგ დუმეცი კი არ არის ეს-დეა (ს. დ.)!

პრომეთეი პართენიჩი გულმოსულათ:

— შენს ტუჯგში დაეტიე,თორემ გარეთ გაგაგდებ.

— რა ქენი დასწერე?

— დიახ, ესე იგი, დავსწერე, დიახ!

— ნიგოიტსკი! სწორათ დასწერა დუმეცმა

ყველა სიტყვები, თუ შეცდომებიც შეეპარა სადმე? —არა ბატონო.

დუმეცმა დაწერა бралъ, უნდა იყოს кралъ. კიდო... „ლეკარსტვო ჩიტაიტცა პა რუსკათ ჩერეზ ეს ტოჩკოი!“.

— დავდე ძირს. сруну говорить! ასეთი გამოთაყვანებული მოსწავლე მე სხვა არა მყავს,— ამ სიტყვებთან ერთად მასწავლებელმა წითური სახის კაცზე მიმითითა, რომელსაც ნიგოიტსკის ეძახდა. წარმოიდგინეთ, თითო სტრიქონ ში თითო სიტყვას ათავსებს, დოროშევიჩი გ ნია თავი, და ისკ ვერას ვზით ვერ შეითვისა, რომ წინადადებაში ქვემდებარე და შესმენილ ა საჭირო. მაგისი წერილების სწორებამ ლამის არის თ ნ გადამიტანოს. არც აზრია შით და ერც სტ ლ. მართლ წერას ხომ ნუღა მკითხავ! მაგრამ ისეთი ლაგი უჭირავს, რომ მაინც საჭირო კაცათ მიმაჩნია.

— ნიგოიტსკი! გესმის, მეორეთ აღარ დასცინო დუმეცს: შეაპარა წამალ ში სხვა ასოო შენ თვითონ მეტი დამნაშავე ხარ. შენც ხომ დაუმსახურებლათ მითვისებული გაქვს ჟურნალისტის სახელი. მაგრამ ამას მხოლოდ მე უნდა მომადლოდე.

თავზარ-დაცემული ნიგოიტსკი ენა ჩავარდნილი იჯდა და თავის ბალღა აწევას ვეღარ ახერხებდა. მე ის შემბრალ და მოვისურვე სალაპარაკო საგნის გამოცვლა.

პრომეთეი პართენიჩს შეეკითხე:

— რა აზრისა ხართ სახალხო განათლების ახალი ცირკულიარის შესახებ, რომელიც მოწაფეთათვის სავალდებულოთ ხდის ფიზიკურ ვარჯიშობას მეთქი!

პრომეთეი პართენიჩს სახე გაუბრწყინდა და სიხარულით მიპასუხა:

— სწორეთ აღტაცებაში მოვედი, როდესაც ახალი ცირკულიარის გამოქვეყნება გავიგე. მე ბედს ვიწყევლი, რომ ჩემს დროს არავის დაებ და ეს ჩენებული აზრი თავში. თორემ ჩემთვის რომ ვინმეს ფიზიკური ვარჯიშობა ესწავლებია, განა თეატრის ფიიეში ყბაზე შეხებას გამიბედავდა ვინმე? ახლა, იცოცხლე, მე საქმე კარგათ მქონდეს დაყენებული. ყველა თანამშრომლებს— მოწაფეებს ვურთვნი ფიზიკურათ. ინსტრუქტორათ მოწვეული მყავს „ოტსტავ ოი“ კაპიტანი,

— აბა, კაპიტან კოტუხოვ! ერთი ცერემონიალნი მარშით ჩაატარე ჩვენი სტუმრის წინაშე თანამშრომლები!

დინჯი კოტუხოვი ბაჯ-ბაჯით გამოგორდა სკამებს შუა, ჯიბეებში ხელები ჩაიწყო და შესძახა:

— Смирно! равняйся! расъ,—два...сто,—сто два, сто три!

მე გამიკვირდა, რომ ასეთ დიდ ციფრებს ხმარობდა კაპიტანი კოტუხოვი ნაბიჯის გამოსათვლელათ, როდესაც სამხედრო პრაქტიკაში ოთხზე მეტ-ს ხმარობენ და ჩემი განცვიფრება პრომეთეი პართენიჩს გავუზიზე.

— ეს არაფერია, საბრალო იმდენათ გაჟღენთილია თავისი „ვეტერატოენიების“ გამონაგარიშებით, რომ საგაზეთო წერილების რიცხვი ნაბიჯების ანგარიშში გადაცდა ..

მე ამ გარემოებამ უფრო გამაკვირვა და კვადად შევეკითხე პრომეთეი პართენიჩს:

— ნუ თუ „ოტსტავნოის“ კაპიტანი საგაზეთო წერილებსაც სთხზავს, ან დანომერა რაღათ სჭირდება მეთქი?

— წერილებს რომ სთხზავს, ამას ახლავე დაგიმტკიცებ. მხოლოდ რაც შეეხება მათ დანომერას, ეს ჩვეულება პროფესორ ერლიხისაგან გადმოიღო. მოგეხსენებათ, იმანაც თავის ახალ პრეპარატს „606“ უწოდა. კოტუხოვის „თანბეტდილების“ რიცხვიც როცა 606-მდე ავა, „ნოვაია რეჩი“-ს ყოფილი რედაქცია მას ერლიხთან ერთათ იუბილეს გადაუხდის.

პრომეთეი პართენიჩი კაპიტან კოტუხოვს მიუბრუნდა, რომელიც მოწაფეებს მუშტების აწევა-დაწევაში ავარჯიშებდა:

— რას დასწერ, კოტუხოვო, ვსთქვათ, ახალგაზდა პოეტზე, რომელიც სცენიდან საზოგადოებას „ავალბრალ“ ლექსებს უკითხავს?

კოტუხოვმა შუბლზე ხელი გადაისვა, თვალები დაწკლიმა და დაიწყო:

— მე ჯერ „ანაგას“ სარდაფში ჩავეშვები და შევიტყობ: იქ ხომ არავინ ლაპარაკობს რამეს ახალგაზდა პოეტზე. შემდეგ დავჯდები და დავსწერ: „საზოგადოება, რომელიც ჩემი „თანბეტდილების“ კითხვამდე ამაღლებულა, სრულებით მისი ღირსი არ არის, რომ მას თეატრის სცენიდან „ბარაშკისებური“ ლექსებით უმასპინძლდებოდეს პოეტი, რომელიც ამგვარ ლექსებს კითხულობს, ღირსია გაიცხვისა საზოგადოებამ მას სტიპენდია უნდა დაუნიშნოს“... წერილს თავზე ნომერს დავასვამ. ხოლო ბოლოში ჩვეულებრივ ფსევდონიმს წავაწერ...

კოტუხოვს ლაპარაკი ჯერ კიდევ არ დაესრულებია, რომ სახე გაფითრებული, მაღალი ტანის რეპორტიორი შემოვარდა ოთახში და დაიყვირა:

— არიკა, თავს უშველეთ, თავადი მუშტაძე მოდის საცემათო!

თვალის დახამხამებაზე სკოლა დაიცალა.

მეორ.

ბიბლიოგრაფია.

(წიგნები მ ვითვალნის).

წინასიტყვაობაში ჩვენ გაკვრით შევეხეთ „ლონ“-ისა და „თან“-ის სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლას. დღეს ვეცდებით უფრო ნათლათ გავარკვიოთ ეს ბუნდოვანი საკითხი.

რამდენი ხანია, ჩვენი ქვეყნის „ბურჯები“ ამტკიცებენ, რომ ქართველ ხალხს რაღაც განსაკუთრებული მიდრეკილება აქვს პარტიობისადმი. ეს მოსაზრება ცოტათ-თუ - ბევრათ, სიმართლესთან ახლოსაა იმყოფება. ვერ ნახავთ ორ ქართველს, (გარდა ვალ. გუნიისა და სვიმ. ყიფიანისა, ისიც რასაკვირველია ღვინის სმის საქმეში!) რომ ერთი აზრისა იყოს, ერთი მეორეს მხარს უჭერდეს. ამიტომ, რაღა გასაკვირია, თუ ჩვენი ერი ვერც „დონ“-ისა და „თან“-ის შესახებ შეთანხმებულა? და აი, აქაც მთელი ხალხი უცებ დაიყო ორ პარტიათ:

1) პარტია „დონისტებისა“.

2) პარტია „თანისტებისა“.

ახლა, თუ უკვე არ მოგეზრდათ ეს მეცნიერული საუბარი, გავარკვიოთ რას მოითხოვს თითოეული ამ პარტიათაგანი.

თავისთავათ ცხადია, რომ „დონისტების“ პარტია არ წარმოსდგება ეგრედ წოდებულ **დოსხგან**, რომელიც რჩება სადღეგელში კარაქის ამოღების შემდეგ, რომ მას („დონისტობას“) არა აქვს არავითარი კავშირი ამ სითხესთან და რომ ძლიერ ადვილი შესაძლებელია „დონისტი“ არ იყოს დოყლაპია. ეს იმიტომ, რომ აქ საქმე შეეხება ასო „დ“-ს და მხოლოდ მის ხმარებას სხვა და სხვა სიტყვებში.

„დონისტები“ (და არა დოყლაპიები) ენერგიულათ მოითხოვენ, რომ ის საქმე, რაც **კანონით** „დონ“-მა უნდა შეასრულოს, რასაც ძველათ ეს ყმაწვილი ასრულებდა, ახლაც მას დარჩეს და არას მამაოჩენებრივი იმერეთიდან გადმოხვეწილ „თანს“ არ დაეთმოს.

ამ მიზნის მისაღწევათ ყოველი „დონისტი“ ვალდებულია სწეროს სხვა და სხვა გამოკვლევები, თუნდაც ეს „გამოკვლევები“ ისეთი ღირსებისა იყოს, როგორც მათი ლიდერის მ. კ. ყიფიანისა. ამ გამოკვლევებში აღნიშნული უნდა იყოს კანონიერი უფლებანი „დონ“-ისა და მისი ისტორიული უპირატესობანი „თან“-ის წინაშე. თითოეული „დონისტი“ ვალდებულია წერის დროს, ლაპარაკში და თვით ჭამის დროსაც, უპირატესობა „დონს“ (და არა დოს) მისცეს.

ერთი სიტყვით: ან „დონი“ და ან სიკვდილი!

„თანისტების“ პარტია როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, უფრო მრავალ-რიცხოვანი და ახალგაზრდა ხალხია. ახალგაზრდობა, მოგეხსენებათ, ძველ ადამიანებსა და წესებს არაფრათ დაგვიდევს... მას ყველაფერი ახალი სწყურია, (რასაკვირველია ღვინოს ძველს უფრო ეტანება!) ყველაფერს ახალს და სასიამოვნოს ეტრფის. არ მოეწონა მის ყურთა სმენას ასო „დონ“-ი ზოგიერთ „პოზიციებში“, აიღო და ნაცვლათ იმისა „თან“-ი ჩააყენა. ამბობს: ეს ყურს უფრო კეთილხმოვანათ ესმის და ხალხსაც საკმაოთ.

ის სრულიად არ დაგიდევს „დონ“-ის ისტორიულ უფლებებს. უყურადღებოთ სტოვებს ძველის ძველი მწერლობის ნიმუშებსაც. ისინი, დაეინებით გაიძახიან: როგორც ყოველივე სხვა, ენაც თანდათან ვითარდება და უმჯობესდებაო. მოდი შენ და ელაპარაკე ასეთ ხალხს!

ამ მცირე, მაგრამ საჭირო, განმარტების შემდეგ ურიგო არ იქნება თითონ „დონისტები“ ვალაპარაკოთ ბ-ნ „თანისტებთან“ მათ-მათი საკუთარი ენით. ეს ნათლათ დაგვანახებს პრინციპიალურ განსხვავებას ამ ორ მოწინააღმდეგე პარტიათა შორის. იმედია მოუსმენთ:

„**თანისტი**“ ალბათ გაგიგონიათ, რომ ვალერიან გუნია ჩინებულათ იპარავს სხვის დრამებს და მერმე ურცხვათ თავისათ ასაღებს.

„**დონისტი**“. თქვენ ალბად უკვე იცით, რაკი ასე მაგრად და საჯაროდ ჭლაპარაკობთ.

შემდგომისთვის ასეთ მაგალითებს მრავალს მოვიყვანთ, ხოლო დღეს ამ ორი წინადადებიდანაც აშკარათ დაინახავთ იმას, რის დანახვაც საჭიროა. დაინახავთ არა იმას, რომ ვალერიან გუნია სხვის დრამებს იპარავს და თავისათ ასაღებს, ეს კარგა ხანია დანახული გექნებთ, არამედ იმას, რომ ერთსა და იმავე სიტყვების ბოლოზე „დონისტები“ „დონ“-ს ხმარობენ, ხოლო „თანისტები“— „თან“-სა.

დასასრულ შევნიშნავ მკითხველთა საყურადღებოთ, რომ მთელი ეშმაკეთი, განურჩევლათ სქესისა და სარწმუნოებისა „თანისტების“ მხარეზეა, თუმცა ბრძოლაში მაგრე რიგათ არ იღებს მონაწილეობას.

იხტორიკოსი.

იყიდება „ შრომის“ სტამბაში

და სგრეთვე მოგვიტანეს ბეჭდვა

მსურველთა შემდეგი კომოცემანი:

1) „ეშმაკის მათრახი“ 1907 წ. 13 ნომერი ერთათ შეკერილი. . 1 მან.
2) „ „ „ 1908 წ. 35 № . . 2 „
3) „ალმანახები“ 1909 წ. 10 № . . —50 კ.
4) „**მათრახ-ხალამ.**“ ტ ალმანახები 1909 წლისა . . . . . 33 ნომერი 2 მან.
5) **ფაუსტი.** გოეტესი, თარგმანი ბ. მირიანიშვილისა . . . . . 1 მ. 25 კ.
6) **კოლპერაცია.** კანდელაკისა . . . — 35 კ.
7) **ქრისტინე.** დრამა 4 მოქ ნინოშვილისა, გადმოკეთებული ირეთლისა . . . . 20 კ.

მსურველს შეუძლია ფულის მაგივრათ ღირებული ფოსტის მარკებიც გამოგზავნოს.

ადრესი: Тифлисъ Типографія Шрома Василію Болквадзе.

ელექტრომბეჭდავი "შრომა" გ. ბოლქვაძისა. რედაქტორ-გამომცემელი: ნ. ს. ხულტანიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხილეულის საბაკურნალო წყალი

მ. ლალიძის და ამხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანახმად ქართული ანდაზისა.

ეშმაკი. გმადლობ განგებავ! რაც მსურდა, ახლა!!
მოღვაწეობა კვალად გაჩაღდა!!!
ზოგს თითო-თითო, ზოგსაც ათ-ათი,
მი.ქვთ და მიაქვთ მსხვილი მახათი...